პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება № ----
2026 წ.--------- სექტემბერი
ქ. ოზურგეთი

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N6 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/01/2018, 190040000.35.113.016326) და დადგენილების თანდართული დანართი N2 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,დანართი №2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა

N	საჯარო მოსამსახურეები	საშტატო ერთეულის რაოდენობა	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო	თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი
1	საკრებულოს აპარატის უფროსი (ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი)	1	**პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი**	**4 160**	**2.6**
2.	საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე (ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი)	1	**პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე**	**3 520**	**2.2**

3	**საორგანიზაციო განყოფილება**	**9**			
3.1.	განყოფილების უფროსი	1	**მე-2 რანგი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი**	**3 200**	**2.0**
3.2	უფროსი სპეციალისტი საოქმო მომსახურების საკითხებში	1	**მე-3 რანგის პირველი კატეგორია**	**2 400**	**1.5**
3.3.	უფროსი სპეციალისტი საოქმო მომსახურების საკითხებში	1	**მე-3 რანგის მეორე კატეგორია**	**2 240**	**1.4**
3.4.	უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო მომსახურების საკითხებში	1	**მე-3 რანგის მეორე კატეგორია**	**2 240**	**1.4**
3.5	უფროსი სპეციალისტი დოკუმენტბრუნვისა და საქმისწარმოების საკითხებში	1	**მე-3 რანგის პირველი კატეგორია**	**2 400**	**1.5**
3.6.	უფროსი სპეციალისტი დოკუმენტბრუნვისა და საქმისწარმოების საკითხებში	1	**მე-3 რანგის მეორე კატეგორია**	**2 240**	**1.4**
3.7.	უმცროსი სპეციალისტი კომპიუტერული უზრუნველყოფის საკითხებში	1	**მე-4 რანგის პირველი კატეგორია**	**1 920**	**1.2**
3.8	უმცროსი სპეციალისტი კომპიუტერული უზრუნველყოფის საკითხებში		**მე-4 რანგის მეორე კატეგორია**	**1 600**	**1.0**
3.9.	უმცროსი სპეციალისტი კომპიუტერული უზრუნველყოფის საკითხებში	1	**მე-4 რანგის მესამე კატეგორია**	**1 280**	**0.8**
4	**სამდივნო განყოფილება**	**8**			
4.1.	განყოფილების უფროსი	1	**მე-2 რანგი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი**	**3 200**	**2.0**

4.2.	უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში	1	**მე-3 რანგის პირველი კატეგორია**	**2 400**	**1.5**
4.3.	უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	1	**მე-3 რანგის მეორე კატეგორია**	**2 240**	**1.4**
4.4	უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	1	**მე-3 რანგის პირველი კატეგორია**	**2 400**	**1.5**
4.5.	უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	1	**მე-3 რანგის მეორე კატეგორია**	**2 240**	**1.4**
4.6	უფროსი სპეციალისტი	1	**მე-3 რანგის მესამე კატეგორია**	**2 080**	**1.3**
4.7.	უმცროსი სპეციალისტი	2	**მე-4 რანგის პირველი კატეგორია**	**1 920**	**1.2**
5	**საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება**	**7**			
5.1	განყოფილების უფროსი	1	**მე-2 რანგი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი**	**3 200**	**2.0**
5.2	უფროსი სპეციალისტი საჯარო ინფორმაციის დამუშავებისა და პროაქტიულად გამოქვეყნების საკითხებში	1	**მე-3 რანგის მეორე კატეგორია**	**2 240**	**1.4**
	უფროსი სპეციალისტი პრესასთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის და ვებ-გვერდის ადმინისტრირების საკითხებში	1	**მე-3 რანგის პირველი კატეგორია**	**2 400**	**1.5**

5.3	უფროსი სპეციალისტი საინფორმაციო - ანალიტიკური მომსახურების საკითხებში	1	**მე-3 რანგის მეორე კატეგორია**	**2 240**	**1.4**
5.4	უფროსი სპეციალისტი პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	1	**მე-3 რანგის მესამე კატეგორია**	**2 080**	**1.3**
5.5	უფროსი სპეციალისტი ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში	1	**მე-3 რანგის მესამე კატეგორია**	**2 080**	**1.3**
5.6	უმცროსი სპეციალისტი ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში	1	**მე-4 რანგის პირველი კატეგორია**	**1 920**	**1.2**
საშტატო ერთეულის რაოდენობა			**26**		

6. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები

დასახელება	**რაოდენობა**
6.1 საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	1
6.2 საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლი	1
6.3 საკრებულოს თავმჯდომარის მდივანი	1
6.4 ექსპერტ-სპეციალისტი	1
6.5 IT სპეციალისტი	1
ს უ ლ	5

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

განმარტებითი ბარათი

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და

საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის წარმდგენი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

2. პროექტის ავტორი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

3. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია, უზრუნველყოს კარიერულ წინსვლაზე, დამსახურებაზე, კეთილსინდისიერებაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული, სტაბილური, საქართველოს ერთიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, გამომდინარე აქედან, საჯარო სამსახურის განხორციელების ერთ-ერთი პრინციპი არის დამსახურებაზე დაფუძნებული საჯარო სამსახური, რომელიც გულისხმობს მოხელის სამსახურში მიღების შესახებ გადაწყვეტილებას და მის კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილება მიუკერძოებლად უნდა იქნეს მიღებული და უნდა ეფუძნებოდეს მოხელის კომპეტენციისა და სამუშაოს შესრულების უნარის სამართლიან და გამჭვირვალე შეფასებას, რომლის მიზანია საუკეთესო კანდიდატის შერჩევა, გარდა ამისა, კიდევ ერთი პრინციპი არის კარიერული განვითარება, რომელიც ემყარება შეფასების სამართლიან სისტემას და სხვა მექანიზმებზე დაფუძნებულ პროფესიულ განვითარებას. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კანონმდებლობით დადგენილი წესით, წელიწადში ორჯერ ტარდება აპარატში დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელეების შეფასება, სადაც აღნიშნული მოხელეები ღებულობენ ,,საუკეთესო“ და ,,კარგი“ შეფასებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან მოხელის შეფასება კარიერული განვითარების ერთე-ერთი მთავარი წინაპირობაა, ოზურგეთის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხაში შედის მთელი რიგი ცვლილებები, კერძოდ:

1. საორგანიზაციო განყოფილებას ემატება: ა) მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საოქმო მომსახურების საკითხებში; ბ) მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - დოკუმენტბრუნვისა და საქმისწარმოების საკითხებში; გ) მე-4 რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - კომპიუტერული უზრუნველყოფის საკითხებში, სულ 3 (სამი) საშტატო ერთეული.

2. სამდივნო განყოფილებას ემატება: ა) მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში 1 (ერთი) საშტატო ერთეული, ხოლო განყოფილებაში არსებული მე-4 რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობა, გარდაიქმნება მე-3 რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობად.

3. საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებას ემატება: ა) უფროსი სპეციალისტი ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში, მესამე რანგის მე-3 კატეგორიის; ბ) მე-4 რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის - ვებგვერდის ადმინისტრირებისა და ინფორმაციის მართვის საკითხებში ვაკანტური თანამდებობა გარდაიქმნება, მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - პრესასთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის და ვებ-გვერდის ადმინისტრირების საკითხებში თანამდებობად.

ზემოაღნიშნულ, ახალ ვაკანტურ თანამდებობებზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოცხადდება შიდა კონკურსი, სადაც პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად მონაწილეობის მიღების უფლება ექნებათ საჯარო დაწესებულების ან/და ამ დაწესებულების სისტემის მასშტაბით დასაქმებულ მოხელეს. ჩატარებული შიდა კონკურსის საფუძველზე და საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით განხორციელდება აპარატის მოხელეების ვაკანტურ თანამდებობებზე დანიშვნა და მათი კარიერულ განვითარება.

ზემოთ აღნიშნული პროცესის დასრულების შემდგომ, ის მოხელეები, რომლებიც დაიკავებენ ახალ თანამდებობებს და მოხდება მათი კარიერული განვითარება, შესაბამისად ის თანამდებობები,

რომლებზედაც დღეის მდგომარეობით ისინი არიან დანიშნულები გახდება ვაკანტური, რომლებიც გაუქმდება, და უახლოეს საკრებულოს სხდომას დაუყონებლივ წარედგინება ახალი საშტატო ნუსხის პროექტი, სადაც 26 საშტატო ერთეულის ნაცვლად წარმოდგენილი იქნება 18 შტატი, შესაბამისად შემცირდება საშტატო ნუსხა 8 (რვა) საშტატო ერთეულით.

დღეის მდგომარეობით, საშტატო ნუსხაში არსებული 21 თანამდებობისთვის გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების ჯამური თანხა, წლიურად შეადგენს 599 040 (ხუთას ოთხმოცდაცხრამეტი ათას ორმოცი) ლარს. პროცესის დასრულების შემდგომ, საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული იქნება 18 საშტატო ერთეული, რომლისთვისაც წლიურად საჭირო იქნება 549 120 ლარი, შესაბამისად საბოლოოდ, წლიურად შრომის ანაზღაურება გამოიწვევს 49 920 (ორმოცდა ცხრა ათას ცხრაას ოცი) ლარის ეკონომიას.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ზემოთ აღნიშნული ცვლილება არ საჭიროებს საჯარო დაწესებულებაში რეორგანიზაციის გამოცხადებას, რადგან დღეის მდგომარეობით 3 (სამი) შტატი ვაკანტურია, ასევე არხდება საჯარო დაწესებულების ინსტიტუციური მოწყობის შეცვლა, შესაბამისად არ იცვლება აპარატის სტრუქტურა. ,,პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N199 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეორგანიზაციად არ მიიჩნევა საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში, თანამდებობ(ებ)ის იერარქიული რანგის ან/და კატეგორიის ცვლილებით ან მის გარეშე საჯარო დაწესებულების ვაკანტური შტატების გადაადგილება ან/და შემცირება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ასევე რეორგანიზაციად არ მიიჩნევა საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში, ინსტიტუციური მოწყობის ცვლილების გარეშე საშტატო ერთეულის დამატება.

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ნორმატიულ აქტში ცვლილების (ცვლილების (ცვლილებების) ან/და დამატების (დამატებების) შეტანა ხდება მხოლოდ იმავე სახის ნორმატიული აქტით. ამდენად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში ცვლილება შეტანილ უნდა იქნეს საკრებულოს დადგენილებით.

ბ) პროექტის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ბ.ა)

4. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

5. არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

6. **ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება.**

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

7. **განმარტებითი ბარათის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ევროკავშირის სამართლებრივი აქტის არსებობის შემთხვევაში, მასთან შესაბამისობის ცხრილი, დანართი №1-ის შესაბამისად.**

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

8. **პროექტი სხვა ნორმატიულ აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა).**

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

9. **საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო ორგანოს დასკვნა წარდგენილი პროექტის საქართველოს კონსტიტუციასა და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ.**

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს (დადგენილების პროექტზე საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო ორგანოს დასკვნას არ ითვალისწინებს).

10. **ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის ზეგავლენის შეფასება.**

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს.

11. **პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2026 წლის ---- ოქტომბერი.**